ხელშეკრულება N 102

სახელწმიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 24 დეკემბერი 2020 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი (ს/კ 447861412) მისი დირექტორის მერაბ დავითაძის სახით ერთის მხრივ (შემდგომში „შემსყიდველი“) და შპს ივიჯი (ს/კ 245439271) მისი დირექტორის ედნარ გელაძის სახით მეორეს მხრივ (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სამი ერთეული უწყვეტი კვების წყაროების შესყიდვა;

1.2 CPV კოდით – 31100000,

1.3 ერთი ერთეული უწყვეტი კვების წყაროების ფასი 150ლარი

1.4 სახელშეკრულებო თანხა განისაზღვრება **450,00 (ოთხასორმოცდაათი და 00თეთრი)** ლარით.

2. საქონლის მიღება-ჩაბარება

2.1 საქონელი ან მისის ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. საქონლის გადაცემა ხდება მიმწოდებლის ადგილსამყოფელის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

2.2 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს;

2.3 მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას;

2.4 საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

2.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებებით და თვითონ მიიტანოს მიმწოდებელთან გარანტიის პირობების შესასრულებლად.

3. გარანტია

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ თუკი მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში გამოვა წყობიდან, გარანტიის პერიოდში უზრუნველყოფს მის შეკეთებას ან შეცვლას;

3.2 ამ გარანტიის მოქმედების ვადა და სხვა პირობები განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ საქონელზე თანდართული საგარანტიო ტალონით;

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს წუნდებული საქონლის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე გარდა იმ შემთხვევისა, როცა შესაცვლელი ნივთი უკვე მოხსნილია წარმოებიდან და უნდა შეიცვალოს ანალოგიური გაცილებით ძვირი ან იაფი ნივთით. ამ შემთხვევაში მოხდება ფასების გადაანგარიშება და მიმწოდებლისათვის დამატებითი თანხის გადახდა ან მიმწოდებლის მიერ სხვაობის უკან დაბრუნება, შესაბამისად;

3.4 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დავის გადასაწყვეტად მიმართოს სასამართლოს.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების, გაწეული მომსახურების აქტის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის შემდეგ;

4.2 ანგარიშება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარებში;

4.3 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის 4.1 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტების გამოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში ჩაურიცხოს მიმწოდებელს ფაქტურაში მითითებული თანხა.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარეშე;

5.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

5.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება მხარეთა პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

5.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. უფლებების გადაცემა

6.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცდეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთნ დაკავშირებით;

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა
მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

8.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებლეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

8.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყევტის შესახებ, თუ:

ა) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

8.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს საქონელი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს ამ მიზნებისთვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ;

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით;

9.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შერულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებელის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამომგზავნი მხარეე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოინახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხამროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვთ მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებილი მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, სრულდება ქართულ ენაზე.

14. შეტყობინება

14.1ნებისმიერი შეტყობინება, რომელსც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება ელექტრონული წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომში წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

14.2შეტყობიენბა შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენის დღეს, იმის მიხედვით თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. გადასახადები და ბაჟები

16.1მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ შუახევის სოციალური სერვისეის ცენტრი
მის: შუახევი რესთაველის ქ. №61
საიდ.კოდი 447861412
სახელმწიფო ხაზინა
ტელ. No **577 20 55 75**

„მიმწოდებელი“

შპს **„ივიჯი“**
საიდ.კოდი 245439271
სს პროკრედიტ ბანკის
ცენტრალური ფილიალი
კოდი:**MIBGGE22**
ანგ No **GE17PC0033600100022868**
ტელ No **0422 271749**

დირექტორი:
/მ.დავითაძე/

Merab Davitadze
Digitally signed by Merab Davitadze
Date: 2020.12.25 11:40:04 +04'00'

დირექტორი:
/ე. გელაძე/

EVG Ltd
Digitally signed by EVG Ltd
Date: 2020.12.24 20:01:04 +04'00'

დანართი 1

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	უწყვეტი კვების წყარო KSTAR KS-UA800 Line Interactive UPS 800VA/480W	ცალი	3	150	450
11					
	ჯამი				**450**

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.ბათუმი 24.12. 2020 წელი

ვადასტურებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-8 მუხლის თანახმად, 2020 წლის 24 დეკემბერს გაფორმებული № 102 ხელშეკრულებაში მითითებულ მომსახურებასთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

I მხარე	II მხარე
ა(ა)იპ შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი	შპს **„ივიჯი“**
დირექტორი მ.დავითაძე	დირექტორი /ე. გელაძე/

Merab Davitadze Digitally signed by Merab Davitadze Date: 2020.12.25 11:40:31 +04'00'

EVG Ltd Digitally signed by EVG Ltd Date: 2020.12.24 20:04:28 +04'00'